განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამართლის სამაგისტრო პროგრამა
შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

17 - 18.06.2019

08.07.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206169304
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართლის სამაგისტრო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა - მეორე საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო - 0421
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ჟვანია - სამართლის დოქტორანტი; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი, მოწვეული ლექტორი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა კარტოზია - სამართლის დოქტორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი -კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი; მოწვეული ლექტორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ელისაბედაშვილი - კერძო აღმასრულებელი; მოწვეული ლექტორი-ილიას სახელმწიფო უნივერსიეტის სამართლის სკოლის; სამართლის დოქტორანტი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა (ფაკულტეტი) სამართლის სამაგისტრო პროგრამას ახორციელებს 2005 წლიდან. 2009 წელს უნივერსიტეტმა გაიარა ინსტიტუციური აკრედიტაცია და პროგრამა 2009-2014 წლებში ფუნქციონირებდა ინსტიტუციური აკრედიტაციის ჭრილში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2014 წლის 25 ივნისს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #128 გადაწყვეტილებით, 5 წლის ვადით.

პროგრამამ აკრედიტაციის შემდეგ გაიარა მცირეოდენი მოდიფიკაცია, კერძოდ: განხორციელდა საკადრო ცვლილებები პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალში, პროგრამის განხორციელებაში აღარ მონაწილეობს რამდენიმე პროფესორი, აკადემიურ პერსონალს შეუერთდა და პროგრამაში ჩართულნი არიან ახალი მოწვეული სპეციალისტები.

ასევე პროგრამაში გაძლიერდა დარგთაშორისი კონცენტრაცია არჩევითი კურსებით; საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებების საფუძველზე შეიცვალა სასწავლო კურსების შეფასების წესი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტების ვიზიტი შედგა 2019 წლის 17-18 ივნისს. ექსპერტები შეხვდნენ შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს, ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის თვიშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, რადგან 1.1 პუნქტი შეფასდა, როგორც შესაბამისი კანონმდებლობით დაწესებულ სტანდარტებთან, ხოლო 1.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს, რადგან 2.1; 2.2; 2.4; 2.5 და 2.6 პუნქტები შესაბამისობაში მოდის მოთხოვნებთან, ხოლო 2.3 მეტწილად შესაბამისობაშა მოთხოვნებთან. მესამე ნაწილი შესაბამისობაშია სტანდარტებთან, რადგან 3.1 პუნქტი შეესაბამება მოთხოვნებს, ხოლო 3.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეოთხე სტანდარტის 4.1; 4.2; 4.3; 4.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ასევე მეხუთე სტანდარტი პასუხობს მოთხოვნებს, კერძოდ, 5.2 და 5.3 შეესაბამება სტანდარტებს ხოლო 5.1 მეტწილად შესაბამისობაშა მოთხოვნებთან.;.

რეკომენდაციები

- სამაგისტრო პროგრამიდან უნდა მოხდეს იმ საგნების ამოღება, რომელთა სწავლება რეალურად უნდა ხორციელდებოდეს ბაკალავრის საფეხურზე.
- აუცილებელია მოხდეს სილაბუსების გადახედვა, განახლდეს და დაემატოს ლიტერატურა.
- უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამამ, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, მათ შორის უცხოენოვანი წყაროების დამუშავებით; დისკუსიების ფარგლებში იქნება ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. ასევე წაახალისოს და ხელი შეუწყოს მაგისტრანტებს, სამეცნიერო კვლევით პროექტებში მიიღონ მონაწილეობა. ამასთან მნიშვნელოვანია დაიგეგმოს, პრობლემური საკითხების განხილვისთვის შესაბამისი აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან, კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა/დაკონკრეტება, მათი ინტერესების გათვალისწინებით. აღსანიშნავია გამოყენებული ლიტერატურის, კერძოდ კი უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავების სიმწირე, რაც ენობრივ ბარიერზე მიუთითებს, ამ პრობლემის აღმოფხვრას ხელს შეუწყობს თუ უსდ- უცხო ენის სერთიფიკატის რელევანტურობას განსაზღვრავს სამართლის სამაგისტრო პროგრამის მისაღებ გამოცდებზე. არსებული მდგომარეობით მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველთათვის, რომელთა უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება მოხდება, არ არის განსაზღვრული B2 დონის სერტიფიკატთა ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და რომელიც უცილობლად დაადასტურებს ასეთი პირის მიერ B2 დონეზე ენის ფლობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- აუცილებელია თვითშეფასების ანგარიშის შედგენის დროს იკვეთებოდეს პროგრამის სუსტი მხარეები, რომელიც გახდება მსჯელობის და დისკუსიის საგანი სამომავლოდ, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით (თვითშეფასების დოკუმენტის ძირითადი ფუნქციაც ეს არის) .
- პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, ობიექტური და მიუკერძოებელი დასკვნის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, აუცილებელია, რომ ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი იმავდროულად არ იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.
    - სასურველია პროგრამაში მითითებული საგნების დასახელებები ემთხვეოდეს სილაბუსების შინაარსს, სილაბუსების ნაწილი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის შედარებით ანალიზს, ხოლო სათაური არ ასახავს ამ რეალობას.
    - მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს სრულფასოვნად შეეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ცოდნის მიღება, ამისათვის დამატებით საჭიროა გაცვლითი,

თუნდაც მოკლევადიანი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში რეალურად და არა მხოლოდ ფორმალურად იყოს უზრუნველყოფილი, სამართლის სამაგისტრო პროგრამის ყველა დარგის მიმართულებით. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა სტუდენტების სურვილი, მონაწილოება მიიღონ/მიეღოთ გაცვლით, თუნდაც მოკლევადიან, სასწავლო პროგრამებში. მნიშვნელოვანია აღნიშნული კომპონენტის გასააქტიურებლად უსდ-ს მიერ დაიგეგმოს და განისაზღვროს კონკრეტული სტრატეგია; ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო თუ ადგილობრივი დონორების და ფონდების შესახებ, აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში გაუწიოს კონსულტაცია. ასევე, უკვე არსებული, ერასმუსის პროგრამის ფარგლებში უზრუნველჰყოს სტუდენტის მხარდაჭერა, რათა მათ შეუფერხებლად შეძლონ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა, ამ კომპონენტში, განხორციელდეს რეალურად.

- სამაგისტრო ნაშრომების მაღალი ხარისხით დამუშავების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა სასურველია ჩამოაყალიბოს მიდგომა, რომლის თანახმად უნდა დაიხვეწოს აკადემიური წერის სტანდარტი და ამ მიზნით კარგი იქნება თუ დამატებით, ძირითად სასწავლო გეგმასთან, განისაზღვრვრება სალექციო კურსი, აკადემიურ წერა იურისტებისათვის, რომელსაც გაუძღვება იურიდიული განათლების მქონე პირი.
- ყველაფრის მიუხედევად გამოკითხვის შედეგებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი და მიმდინარეობა, ასევე სწავლების მეთოდები უმეტესწილად შეაფასეს ,,კარგი"-თ , თუმცა პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და პროგრამის როლი სტუდენტის კარიერული წინსვლის შესაძლებლობა ერთი საფეხურით ჩამოწეულია და მეტწილად შეფასებულია ,,საშუალო"-დ. როგორც ჩანს ამ კომპონენტში უსდ-ს მიერ შემუშავებული პროგრამის მიმდინარეობა და შედეგი არ არის რელევანტური და საჭიროებს გადახედვას და დამუშავებას.

- **სტუდენტების მიერ ლექტორთა შეფასების სისტემა** - სასურველია, სტუდენტების გამოკითხვა განხორციელდეს ფინალურ გამოცდებამდე, რათა მათ მიერ ჩამოყალიბებული შენიშვნები იყოს სამართლიანი და ობიექტური. მნიშვნელოვანია ერთიანად მოხდეს ინფორმაციის შეგროვება, რათა მიღებული უკუკავშირი იძლეოდეს სრულ ინფორმაციას. სასურველია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა ნათლად სტრუქტურირებული და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებით იყოს განხორციელებული - წერილობითი ფორმით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- პროგრამაში ინტეგრირებული დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, როგორიცაა: “ადამიანის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოების დროს (ინგლისურენოვანი)”; “ადამიანის უფლებები სისხლის სამართალწარმოების დროს (ინგლისურენოვანი)”; “სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება”; “კიბერუსაფრთხოება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში”; “ელექტრონული კომერციის სამართალი” და სხვ. დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გათვალისწინებით პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთჰარმონიულია და ერთმანეთს განაპირობებენ, ამავდროულად, სწავლის შედეგები გამომდინარეობს თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებებიდან.
- უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციასთან (სიფა), რომლის მიხედვით ხდება სამაგისტრო პროგრამის სრული ანალიზი და შეფასება, ეს გარემობა მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის ხარისხზე და ორიენტირებულია მიუკერძოებელი და ობიექტური დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პროგრამის მოდიფიცირება.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში - უსდ) სამართლის სამაგისტრო პროგრამას აქვს სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები. სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია სამართლის სამაგისტრო პროგრამაში და თვითშეფასების ანგარიშში. კერძოდ, პროგრამამ მაგისტრანტს უნდა: (1) შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის, საჯარო, საერთაშორისო სამართლის სფეროებში, აგრეთვე შედარებითი სამართალმცოდნეობის საკითხებში; (2) გამოუმუშავოს ინოვაციური მიდგომები ნორმის სწორად ინტერპრეტაციის, რთული სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურად შეფასების და საბოლოოდ სამართლებრივი ამოცანის გადასაწყვეტად; (3) გამოუმუშავოს აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისთვის წერილობითი და ზეპირი ფორმით მშობლიურ და უცხოურ ენებზე საკუთარი კვლევის შედეგების და სამართლებრივი დასკვნების არგუმენტირებულად გადაცემის უნარი; (4) განუვითაროს სამართლებრივი წერის უნარი; (5) გამოუმუშავოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის უნარი; (6) მაღალი დონის პირადი ავტონომიის და ანგარიშვალდებულების ფარგლებში გამოუმუშავოს სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს სამართლებრივი ღირებულებებით მართვის უნარი. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას, ასევე უნივერსიტეტის რესურსებს და დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამის გაუმჯობესებისთვის ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის მოდიფიცირების დროს განვითარების სამსახურის მიერ განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა, რათა გათვალისწინებული ყოფილიყო ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები. უსდ-ს სამართლის სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე. ინტერნატიონალიზაციის მიზნები და ამოცანები მოცემულია უსდ-ს აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 31მაისის #1 დადგენილებით დამტკიცებულ ინტერნაციონალიზაციის

პოლიტიკის სახელმძღვანელოში. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის თანახმად, უსდ-ს ჰყავს საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტები. საერთაშორისო თანამშრომლობს მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლით პროგრამებს. ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ სამართლის ლექტორი 3 თვიანი სამეცნიერო- კვლევითი პროგრამით იმყოფება ამერიკის ერთ-ერთ უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ უსდ-ში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, მოწვეულები იყვნენ და საჯარო ლექციები წაიკითხეს უცხოელმა პროფესორებმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; ● სამართლის სამაგისტრო პროგრამა/გეგმა; ● მემორანდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ● აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ● შრომის ბაზრის ცალკეული ასპექტები/ანალიზი; ● უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; ● საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდილოგია ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში - უსდ) სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია სამაგისტრო პროგრამასა და თვითშეფასების ანგარიშში. სტუდენტს აქვს სწავლების სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომლის საფუძველზეც შეძლებს: რთული სამართლებრივი პრობლემების კომპლექსურად შეფასებას და მის გადასაწყვეტად ახალი, ორიგინალური გზების მოძიებას, სამართლებრივი დასკვნების ფორმულირებას; ნორმის სწორად ინტერპრეტაციას, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციას; მტკიცებულებების გამოკვლევის და შეფასების შედეგად სასამართლო გადაწყვეტილების პროექტის შედგენას; აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით კვლევის პროცესისი დამოუკიდებლად წარმართვას. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთჰარმონიულია და ერთმანეთს განაპირობებენ. სწავლის შედეგები შეესაბამება სტუდენტის მიერ შეძენილ ცოდნას, უნარებსა და პროგრამის მიზნებს. სამაგისტრო პროგრამაში მონაწილე აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შეიძლება აღინიშნოს, რომ უსდ-ს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია და შეესაბამება საბოლოოდ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. აკრედიტაციის ექსპერტების დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა კურსდამთავრებულთა შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. დღეის მდგომარეობით დამსაქმებელთან, რომელთანაც უსდ-ს აქვს გაფორმებული მემორანდუმი, დასაქმებულია რამოდენიმე კურსდამთავრებული. კურდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ ისინი საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობენ კერძო თუ საჯარო სექტორში. მისასალმებელია დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსების არსებობა. უსდ-ს აქვს შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების

მექანიზმი, სადაც აღწერილია როგორც შეფასების პროცესი, ასევე მეთოდები, ინსტრუმენტები და სამიზნე ნიშნულები, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სამართლის სამაგისტრო პროგრამის შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდა პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი) და არაპირდაპირი მეთოდებით (კურსდამთავრებულებისა და მაგისტრანტების გამოკითხვის შედეგები, დამსაქმებლის მიერ სტუდენტის შეფასება). სამართლის სამაგისტრო პროგრამის შეფასების შედეგები და რეკომენდაციები მოცემულია უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნაში, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო პროგრამის მოდიფიცირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; ● სამართლის სამაგისტრო პროგრამა/გეგმა; ● აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ● შრომის ბაზრის ცალკეული ასპექტები/ანალიზი; ● პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; ● სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი; ● უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნა სამართლის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესახებ; ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **|** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	ესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პიროვნებების პროგრამაში ჩართვას. აღნიშნული პირობები განისაზღვრება სამაგისტრო პროგრამითა და სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის მაგისტრატურის დებულებით. ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის, წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სიტემის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. უნივერსიტეტის თვითშეფასების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ,,მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში“.

პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების შესაძლებლობა, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად ასევე განსაზღვრულია უცხოეთის უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთათვისაც.

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველთათვის დაგდენილია ინგლისური ენის ცოდნა არანაკლებ „B2“ დონეზე. ინგლისური ენის დონის შესამოწმებლად უნივერსიტეტი ატარებს ტესტირებას, მაგრამ პროგრამა უშვებს გამონაკლისს, რომლის მიხედვითაც პირს, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან პირველი, მეორე ან/და მესამე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე, თავისუფლდება ინგლისური ენის ტესტირებისგან.

დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამა განსაზღვრავს როგორც შიდა, ისე გარე მობილობის წესს, რომელიც სრულად მოდის კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- უსდ-ის ვებ-გვერდი
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტმა კვალიფიკაციის მისაღებად უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

სამართლის სამაგისტრო პროგრამა შედგება სავალდებულო სასწავლო კურსებიდან, რომელთა კრედიტების ხვედრითი წილი განისაზღვრება 21 კრედიტით. პროგრამა ასევე ითვალისწინებს არჩევით სასწავლო მოდულებს, აღნიშნული მოდულები შედგება სავალდებულო და არჩევითი საგნებისაგან, უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პრაქტიკულ კომპონენტს (მაქსიმუმ 12 კრედიტი). პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად სტუდენტისთვის შეTავაზებულია ორი ალტერნატივა, იურიდიული

კლინიკა ან პრაქტიკის გავლა პარტნიორ ორგანიზაციებში. პროგრამის მიხედვით კვლევით კომპონენტს, რომელიც გულისხმობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და დაცვას, ეთმობა 30კრედიტი. სასწავლო მოდულები შემდეგი სახით არის გადანაწილებული:

- კერძო/ბიზნეს სამართალი; მოდულის სავალდებულო საგნები 43 კრედიტი, არჩევითი საგნები 15კრედიტი.
- სისხლის სამართალი მოდულის სავალდებულო საგნები 38 კრედიტი, არჩევითი საგნები 20 კრედიტი.
- საჯარო სამართალი; მოდულის სავალდებულო საგნები 40 კრედიტი, არჩევითი საგნები 29 კრედიტი.
- საერთაშორისო სამართალი; მოდულის სავალდებულო საგნები 43 კრედიტი, არჩევითი საგნები 19 კრედიტი.
- დარგთაშორისი კონცენტრაცია - 24 კრედიტი.

სამაგისტრო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას მარტივიდან რთულისაკენ, რაც სდუდენტს უადვილებს სწავლების პროცესს.

სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს იურიდიულ ინგლისურს (C1;C2), აკადემიურ წერას და **„ევროპული კავშირის ასოცირების ხელშეკრულების შინაარსი და გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე“**, აღნიშნული საგნის სწავლების მნიშვნელობაზე ყურადღება გაამახვილეს დამსაქმებლებმაც, რომელთა განცხადებით ეს ფაქტი სრულად ასახავს ბაზრის მოთხოვნებს.

პროგრამა, ერთი მხრივ, ორიენტირებულია თეორიული ცოდნის, საჯარო/კერძო/სისხლის/საერთაშორისო სამართლის სიღრმისეულ შესწავლასა და სტუდენტში კვლევის უნარების გამომუშავებაზე, მეორე მხრივ სთავაზობს მიღებული და დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას, რაც ორიენტირებულია სტუდენტის პრაქტიკული და პროფესიული უნარ–ჩვევების გამომუშავებზე, ეს გარემოება ხელს უწყობს მათ დასაქმებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია სავალდებულო და კურსები, ასევე პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს. მათი სწორი თანაფარდობით გამოყენება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შესაბამისად სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა მისი ინტერესებიდან გამომდინარე აირჩიოს კონკრეტული სასწავლო მოდული, ასევე ის არ არის შეზღუდული სხვა მოდულებიდანაც დაიმატოს საგნები. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ საგნებს მინიჭებული აქვს კრედიტები, პროგრამით გათვალისწინებულია 3, 4, 5 და 6 კრედიტიანი საგნები, სილაბუსების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ კრედიტები გადანაწილებულია კონკრეტული საგნის მოცულობიდან გამომდინარე და შესაბამისობაში მოდის კანონმდებლობით დადგენილ

რეგულაციებთან. საგანს - **BUL0003 „საერთაშორისო კერძო სამართალი“; INL 0008 „საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი“; STL 0012 „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“; CRL 0021 „ტრანსნაციონალური დანაშაულის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირება“;** მინიჭებული აქვს 5 კრედიტი, ამ საგნების სილაბუსების შენაარსის, ასათვისებელი მასალისა და დატვირთვის შესწავლის შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ რომ კრედიტების რაოდენობა სრულად შეესაბამება კურსის მოცულობას. პროგრამა ითვალისწინებს ოთხ კრედიტიან საგნს, როგორიცაა - **„სამხედრო კომფლიქტების სამართალი (ძალის გამოყენების აკრძალვა)“,** ამ საგანთან მიმართებაშიც სრულად დაცულია მოთხოვნები. რაც შეეხება სამ კრედიტიან საგნებს, როგორიცაა: **„საერთაშორისო სტანდარტები და არასრულწლოვანთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა“; „გარემოს დაცვის საერთაშორისო სამართალი“; „საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი“** ამ შემთხვევებშიც კრედიტების რაოდენობა და კურსის მოცულობა ერთმანეთთან შესაბამისობაშია. ექვსი კრედიტი მინიჭებული აქვს პრაქტიკას სამართლის კლინიკაში, რომელიც მოიცავს 100 საათს მოქალაქეთა მიღებისა და კონსულტაციებისთვის და 20 საათს ადვოკატთან/პროფესორთან კონსულტაციისთვის. აქვე ხაზი უნდა გაესვას და აღინიშნოს, რომ პროგრამაში წარმოდგენილი აქვს დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, როგორიცაა: **“ადამიანის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოების დროს (ინგლისურენოვანი)”; “ადამიანის უფლებები სისხლის სამართალწარმოების დროს (ინგლისურენოვანი)”; “სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება”; “კიბერუსაფრთხოება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში”; “ელექტრონული კომერციის სამართალი”** და სხვ. უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით და პერიოდულად ხდება საგნების დამატება. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ვხვდებით საგნებს, რომელთა სათაური უფრო მეტად კავშირშია საბაკალავრო საფეხურთან, მაგრამ სილაბუსის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ის სრულად შესაბამისობაშია მაგისტრატურის საფეხურისთვის დადგენილ სტანდარტებთან. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ **„ კორპორაციული მართვის“** სილაბუსი. ასევე პროგრამაში ვხვდებით საგნებს, რომელთა არსებობა ბევრად უფრო გამართლებულია საბაკალავრო დონეზე, რადგან მაგისტრანტმა უკვე უნდა იცოდეს აღნიშნული საკითხები, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ: **„კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა კერძო სამართალში“; „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“; "ადმინისტრაციული სამართალწარმოება"; „მუნიციპალური სამართალი“.** სილაბუსების შესწავლის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ სილაბუსების ნაწილში საჭიროა ლიტერატურის განახლება და შევსება აუცილებელიმასალით, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ **„ შრომის სამართლის და საჯარო სამსახურის თეორია და პრაქტიკის“** სილაბუსი, სადაც არ არის მითითებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სახელმძრვანელო - „საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები“ (2017წ.)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის სამაგისტრო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები

- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან

რეკომენდაციები:

სამაგისტრო პროგრამიდან უნდა მოხდეს იმ საგნების ამოღება, რომელთა სწავლება რეალურად უნდა ხორციელდებოდეს ბაკალავრის საფეხურზე.

აუცილებელია მოხდეს სილაბუსების გადახედვა, განახლდეს და დაემატოს ლიტერატურა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია პროგრამაში მითითებული საგნების დასახელებები ემთხვეოდეს სილაბუსების შინაარსს, სილაბუსების ნაწილი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის შედარებით ანალიზს, ხოლო სათაური არ ასახავს ამ რეალობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამაში ინტეგრირებული დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, როგორიცაა: "ადამიანის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოების დროს (ინგლისურენოვანი)"; "ადამიანის უფლებები სისხლის სამართალწარმოების დროს (ინგლისურენოვანი)"; "სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება"; "კიბერუსაფრთხოება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში"; "ელექტრონული კომერციის სამართალი" და სხვ. დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გათვალისწინებით პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთჰარმონიულია და ერთმანეთს განაპირობებენ, ამავდროულად, სწავლის შედეგები გამომდინარეობს თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებებიდან.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. უნივერსიტეტში მოქმედებს იურიდიული კლინიკა, სადაც სტუდენტს ექვსი კრედიტის ფარგლებში შეუძლია გაიაროს პრაქტიკა, ასევე მის ალტარნატივას წარმოადგენს პრაქტიკის გავლა იმ ორგანიზაციებში, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი. სამართლის კლინიკა მუშაობს გამართულად და რეალურად აძლევს შესაძლებლობას სტუდენტს მიიღოს დიდი პრაქტიკული გამოცდილება. კლინიკის საქმიანობა ორიენტირებულია სოციალურად დაუცველებს და სამხედროებს გაუწიოს იურიდიული დახმარება. სტატისტიკის მიხედვით, რომელსაც კლინიკა აწარმოებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში კლინიკამ იურიდიული დახმარება გაუწია დაახლოებით 35 ბენეფიციარს, საიდანაც 13 იყო სამხედრო მოსამსახურე, ხოლო 8 სოციალურად დაუცველი, კლინიკის ხელმძღვანელის განმარტებით, საქმეების ნაწილი მოცულობითია და მისი დამუშავებისთვის კლინიკის საქმიანობაშ ჩართული სტუდენტები ჯგუფურად მუშაობენ. ასევე უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემარანდუმები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, ამ მემორანდუმების საფუძველზე ხდება სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკაზე და ასევე გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. სამაგისტრო პროგრამა სავალდებულო კომპონენტად ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას, რომელსაც დათმობილი აქვს 30 კრედითი, უნივერსიტეტს ასევე გააჩნია ელექტრონული ბაზები (EBSCO HOST;Cambridge Journals Online და სხვ.), რათა სტუდენტს არ გაუჭირდეს საჭირო მასალის მოძიება. უნივერსიტეტს ასევე დადგენილი აქვს აკადემიური წერის სტანდარტები, რომელთა დაცვა სავალდებულოა. უნივერსიტეტი ორგანიზებას უკეთებს იმიტირებულ პროცესებს და კონფერენციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აქტივობების ხარისხი კონტროლდება, ხარისხის სამსახური ახდენს მონიტორინგს, ასევე აქტივობებთან დაკავშირებით ხდება სტუდენტებისა და იმ ლექტორების გამოკითხვა, რომლებიც ჩართულნი არიან პროცესში. აღნიშნული გარანტიაა იმისა, რომ სტუდენტისათვის მიწოდებული პროდუქტი სრულ შესაბამისობაში იქნება მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის სამაგისტრო პროგრამა ○ თვითშეფასების ანგარიში

- ინტერვიუები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
- ინტერვიუები სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

ბრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება - სწავლების მეთოდები რეალურად განსხვავდება საბაკალავრო პროგრამაში გაწერილი სწავლა - სწავლების მეთოდებისგან, რადგან სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტის განვითარებაზე. სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ სილაბუსებში ვხვდებით სწავლა - სწავლების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ახსნა-განმარტება, შემთხვევის ანალიზი (CASE STUDY), დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სასწავლო პრაქტიკა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვა. ამ მეთოდების შერჩევა კონკრეტულ სასწავლო კურსთან მიმართებაში ხდება საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ **„შედარებითი სახელშეკრულებო სამართალი“,** სადაც მითითებულია, რომ ლექტორი იყენებს სწავლა - სწავლების სხვადასხვა მეთოდს, აღნიშნული სასწავლო კურსის შესასწავლად გამოიყენება ახსნა - განმარტების მეთოდი, შმთხვევის ანალიზის მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი და ა.შ. უნდა ითქვას, რომ ამ საგნის სპეციფიკა შერჩეული სწავლა - სწავლების მეთოდები სრულად უზრუნველყოფს წინასწარ განსაზღვრული შედეგის მიღწევას. რეგულაციების დაცვის საფუძველზე, ამდაგვარად ჩამოყალიბებული სწავლა - სწავლების მეთოდების შერჩევის მთავარი მიზანია მაქსიმალურად ჩართოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკულ აქტივობებზე და ცდილობს სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი გახადოს შრომით ბაზარზე.

სწავლების შედეგების მისაღწევად, სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას ხდება ადეკვატური მეთოდების შერჩევა, თანმიმდევრულად - სწავლის მიზნების, შედეგების, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლება- სწავლის მეთოდები სრულ შესაბამისობაში მოდის მაგისტრატურის საფეხურთან, ასევე სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარსს და სრულად ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევისკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან
- გასაუბრება სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად, სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და ფინალურ შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს დასკვნით შეფასებას - 100 ქულას. შეფასების თითოეულ ფორმას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანთ ,,შედარებითი კონსტიტუციური სამართალი", სილაბუსის შესაბამისად, აღნიშნულ საგანში შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი შეადგენს 25 ქულას, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური სავალდებულო ქულა არის 16. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისობაშია, რაც დასტურდება სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით. სამართლის სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასებები დეტალურადაა ჩაშლილი, იკითხება აკადემიური პერსონალის ინდივიდუალიზმი, რაც

მიუთითებს, რომ შეფასების ნაწილი მათ მიერ არის დამუშავებული, ასევე აღნიშნულ ნაწილში გათვალისწინებულია კონკრეტული საგნების სპეციფიკა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე საგანი, კერძოდ, **,,ელექტრონული კომერციის სამართალი“,** რომლის შეფასების კრიტერიუმებში გათვალისწინებულია ზეპირი გამოკითხვა/დისკუსია/დებატები, კაზუსის ამოხსნა, პრეზენტაცია. აღსანიშნავია, რომ ეს შეფასების კრიტერიუმები სრულად მოდის შესაბამისობაში სასწავლო კურსის შინაარსთან და უზრუნველყოფს შედეგების სრულად მიღწევას. ასეთი ფორმით სტუდენტების შეფასების ნაწილის დამუშავება სილაბუსებში სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ იცოდეს თუ როგორ და რა კრიტერიუმების მიხედვით შეფასდება კონკრეტულ საგნებში. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისობაშია, რაც დასტურდება სილაბუსებით, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის სამაგიტრო პროგრამა ○ ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ○ ინტერვიუ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	საბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში - უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის პროცესის რეგულირების წესი და პირობები, შიდა სამართლებრივი აქტებით მკაფიოდ, ამომწურავად და ნათლად არის ჩამოყალიბებული. სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაცია, სწავლის პროცესის შესახებ, დეტალურად და გასაგებად არის აღწერილი. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული რეგულაციები/პროცედურები, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია მათთვის. სტუდენტი იღებს სათანადო

კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან უნივერსიტეტში არსებული კონსულტაციებისა და სხვა მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ სასწავლო კურსების შესახებ ინფორმაციას და მასზე დაყრდნობით აირჩიონ მათთვის სასურველი საგანი. სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის არჩევის პროცესში ფაკულტეტი არ განსაზღვრავს სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას, რომელიც სავალდებულოა სასწავლო კურსის შეთავაზებისთვის. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის - სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შესრულებისთვის არსებობს შესაბამისი ელექტრონული ბაზა, როგორც პირადი ისე, კორპორაციული ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებით სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან, ასევე წვდომა სასწავლო კურსით განსაზღვრულ მასალებზე, სასწავლო გეგმასა და აკადემიურ კალენდარზე. უსდ-მ შრომის ბაზრის შესწავლის, დამსაქმებელთა, პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად სამართლის სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებასა და თანამედროვე ბაზრის გამოწვევების შესაბამისად, სათანადო, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით პროგრამაში ინტეგრირებულია ინგლისურენოვანი საგნები. სამართლის სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, სავალდებულო საგნებად არის შემოღებილი პროფესიული ინგლისურის კურსები, კერძოდ, "იურიდიული ინგლისური (C1-I)", იურიდიული ინგლისური (C1-II)", ასევე, "ევროპული კავშირის ასოცირების ხელშეკრულების შინაარსი და გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე"; "აკადემიური წერა".

განსაკუთრებით აღნიშვნას იმსახურებს - პროგრამაში ინტეგრირებული დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, როგორიცაა: "ადამიანის უფლებები სამოქალაქო სამართალწარმოების დროს (ინგლისურენოვანი)"; "ადამიანის უფლებები სისხლის სამართალწარმოების დროს (ინგლისურენოვანი)"; "სამეწარმეო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება"; "კიბერუსაფრთხოება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში"; "ელექტრონული კომერციის სამართალი" და სხვ. დარგთაშორისი კონცენტრაციით გათვალისწინებული სასწავლო კურსების გათვალისწინებით პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ურთიერთჰარმონიულია და ერთმანეთს განაპირობებენ, ამავდროულად, სწავლის შედეგები გამომდინარეობს თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებებიდან.

აღსანიშნავია რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების დიდი ნაწილი დასაქმებულია, შესაბამისად უნივერსიტეტი, მხარს უჭერს სტუდენტებს საკუთარი ინდივიდუალური სასწავლო განრიგის ფორმირებაში; სალექციო ცხრილი არის მოქნილი და სტუდენტებს საშაუალება აქვთ აირჩიონ ლექციების ჩასატარებლად მათთვის სასურველი დრო. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, მათი დაფინანსების/თანადაფინანსების სახით. უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულება მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭერას თავის სტუდენტებს, და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს შიდა (საუნივერსიტეტო) გრანტები როგორც მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სამართლის მაგისტრანტებისათვის, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის, სამეცნიერო კვლებითი პროექტების დასაფინანსებლად. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩართულია ერასმუსის პროგრამაში ასევე, ყავს რამოდენიმე პარტნიორი უნივერსიტეტი სადაც გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობაა შესაძლებელი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზს, რომელიც სამომავლოდ გამოიყენება დასახული სწავლის შედეგის მიღწევის მტკიცებულებად და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო განვითარების პროცესის უზრუნველყოფას. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები დაწესებულების ხელშეწყობით საქმდებიან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ როგორც მოქმედ მაგისტრანტებს, ისე სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით, გაიარონ სტაჟირება კერძო/საჯარო სექტორში. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტების დასაქმება ხორციელდება უნივერსიტეტის პარტნიორი დამსაქმებლების მიერ. იურიდიული კლინიკის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის გავლით, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად ეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემდგომ მათი სურვილისამებრ საქმდებიან. უსდ სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს სთავაზობს პროფესიულ პრაქტიკულ კურსის არჩევით საგანს, რომლის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტებს უნივერსიტეტში მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენონ და განიმტკიცონ პრაქტიკაში, გამოიმუშაონ პროფესიული ეთიკის უმთავრესი უნარ-ჩვევები. პრაქტიკული კურსის განმავლობაში, სტუდენტების აქტიური მონაწილეობით, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით, შეიქმნა იურიდიული კლინიკა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები, უფასო იურიდიულ კონსულტაციას უწევენ მოქალაქეებს და სასამართლო დავებში, პრაქტიკოსი იურისტების ხელმძღვანელობით, ღებულობენ მონაწილეობას. სწავლის პარალელურად არსებობს შესაძლებლობა, მოქმედი იურიდიული კლინიკის ფარგლებში, სტუდენტებმა უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა ნამდვილი საქმეების განხილვასა და გაძღოლაში, მათ შორის მოამზადონ და წარმართონ სასამართლო პორცესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; ❖ სამართლის სამაგისტრო პროგრამა/გეგმა/დებულება; ❖ სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები; ❖ სამართლის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი;

- მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს სრულფასოვნად შეეძლოს საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისი ცოდნის მიღება, ამისათვის დამატებით საჭიროა გაცვლითი, თუნდაც მოკლევადიანი აქტივობები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში რეალურად და არა მხოლოდ ფორმალურად იყოს უზრუნველყოფილი, სამართლის სამაგისტრო პროგრამის ყველა დარგის მიმართულებით. სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა სტუდენტების სურვილი, მონაწილოება მიიღონ/მიეღოთ გაცვლით, თუნდაც მოკლევადიან, სასწავლო პროგრამებში. მნიშვნელოვანია აღნიშნული კომპონენტის გასააქტიურებლად უსდ-ს მიერ დაიგეგმოს და განისაზღვროს კონკრეტული სტრატეგია; ამ მიმართულებით უნივერსიტეტმა უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთ პარტნიორ უნივერსიტეტებთან; ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია საერთაშორისო თუ ადგილოვრივი დონორების და ფონდების შესახებ, აღნიშნული ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში გაუწიოს კონსულტაცია. ასევე, უკვე არსებული, ერასმუსის პროგრამის ფარგლებში უზრუნველჰყოს სტუდენტის მხარდაჭერა, რათა მათ შეუფერხებლად შეძლონ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღება და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა, ამ კომპონენტში, განხორციელდეს რეალურად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში-უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-ს სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომების დამუშავებისათვის, ნაშრომის ხელმძღვანელობაში ისეთი პირები არიან ჩართულნი, რომელთაც შესაბამისი აკადემიური გამოცდილება აქვთ. ექსპერტთა მიერ, ვიზიტის დროს სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის პროცესში გამოიკვეთა რიგი ხარვეზების, როგორც ნაშრომის შინაარსობრივ, ისე ფორმალურ ნაწილთან დაკავშირებით, ზოგიერთ შემთხვევაში თვალშისაცემია გამოყენებული ლიტერატურის, კერძოდ კი უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავების სიმწირე. ინტერვიუირების პორცესში სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების მიერ აღინიშნა, რომ მათ უწევთ ზრუნვა იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დახვეწაზე რაც აუცილებელია ნაშრომზე სამუშაოდ. მოცემული ვითარებიდან იკვეთება რომ მაგისტრანტების ნაწილი სრულფასოვნად არ ფლობს იმ უნარ-ჩვევებს რომელთა შესწავლაც გათვალისწინებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტებით, რაც სამაგისტრო ნაშრომების ხარისხზე აისახება. თავის მხრივ, უნდა აღინიშოს უკანასკნელ პერიოდში დაცული სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც წინამორბედებთან შედარებით, მეტწილად გაუმჯობესებული აკადემიურ სტანდარტით გამოირჩევა და ზოგიერთი მათგანი საინტერესო კვლევით მიმართულებებსაც ეხება. სამაგისტრო ნაშრომების მაღალი ხარისხით დამუშავების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა სასურველია ჩამოაყალიბოს მიდგომა, რომლის თანახმად უნდა დაიხვეწოს აკადემიური წერის სტანდარტი და ამ მიზნით კარგი იქნება თუ დამატებით, ძირითად სასწავლო გეგმასთან, განისაზღვრვრება სალექციო კურსი, აკადემიურ წერა იურისტებისათვის, რომელსაც გაუძღვება იურიდიული განათლების მქონე პირი. მნიშვნელობანია სამაგოსტრო ნაშრომზე მუშაობისას დროის სწორად განსაზღვრისა და გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარება, რაც დაეხმარება სტუდენტს, ისევე როგორც

ხელმძღვანელს, საბოლოო შედეგის მიღწევაში. აღსანიშნავია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება.
აკრედიტაციის ექპერტების მიერ ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა სამაგისტრო ნაშრომები და ძირითადად ადგილი აქვს უცხოენოვანი ლიტერატურის სიმწირეს. მისასალმებელია პლაგიატის პროგრამის არსებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა/გეგმა/დებულება;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში დაცული სამაგისტრო ნაშრომები;
- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამამ, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები; წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, მათ შორის უცხოენოვანი წყაროების დამუშავებით; დისკუსიების ფარგლებში იქნება ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. ასევე წაახალისოს და ხელი შეუწყოს მაგისტრანტებს, სამეცნიერო კვლევით პროექტებში მიიღონ მონაწილეობა. ამასთან მნიშვნელოვანია დაიგეგმოს, პრობლემური საკითხების განხილვისთვის შესაბამისი აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან, კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა/დაკონკრეტება, მათი ინტერესების გათვალისწინებით. აღსანიშნავია გამოყენებული ლიტერატურის, კერძოდ კი უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავების სიმწირე, რაც ენობრივ ბარიერზე მიუთითებს, ამ პრობლემის აღმოფხვრას ხელს შეუწყობს თუ უსდ- უცხო ენის სერთიფიკატის რელევანტურობას განსზღვრავს სამართლის სამაგისტრო

პროგრამის მისაღებ გამოცდებზე. არსებული მდგომარეობით მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველთათვის, რომელთა უცხო ენის გამოცდისაგან გათავისუფლება მოხდება, არ არის განსაზღვრული B2 დონის სერტიფიკატთა ჩამონათვალი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და რომელიც უცილობლად დაადასტურებს ასეთი პირის მიერ B2 დონეზე ენის ფლობას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ❖ სამაგისტრო ნაშრომების მაღალი ხარისხით დამუშავების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა სასურველია ჩამოაყალიბოს მიდგომა, რომლის თანახმად უნდა დაიხვეწოს აკადემიური წერის სტანდარტი და ამ მიზნით კარგი იქნება თუ დამატებით, ძირითად სასწავლო გეგმასთან, განისაზღვრვრება სალექციო კურსი, აკადემიურ წერა იურისტებისათვის, რომელსაც გაუძღვება იურიდიული განათლების მქონე პირი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	საბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში - უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: თვითშეფასების ანგარიშით პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 აკადემიური პერსონალი , 18 აფილირებული აკადემიური პერსონალი და 20 მოწვეული პერსონალი. თუმცა უსდ-ს მიერვე მოწოდებული ,,პერსონალის ჩამონათვალში" სულ ჯამში აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული 33 პერსონალია მითითებული. იმავე დოკუმენტით

ირკვევა რომ მათგან 31-ია უშუალოდ სამართლის სპეციალისტი. განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება სტანდარტებს. აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული კვლევით საქმიანობაში (ბოლო 5 წლის განმავლობაში), რაც დასტურდება მოწოდებული დოკუმენტაციით. მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტისთვის თეორიულ სწავლებასთან ერთად და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას. მოწვეული პერსონალთან გასაუბრების შემდეგ დგინდება, რომ სემესტრულად ხდება სილაბუსების დამუშავება ხარისხის სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე. თუმცა რიგ შემთხვევაში, ბაკალავრის სტუდენტებსა და მაგისტრანტებისათვის შეთააზებულ საგნეში ხდება შინაარსობრივი დუბლირება, რაც იმას გულისხმობს რომ სათაური ცვლილების მიუხედავად შინაარსის დიდი ნაწილი ემთხვევა ბაკალავრის საფხურზე შეთავაზებული საგნის შინაარს. რიგ შემთხვევებში სათაური ბუნოვანია და ვერ გადმოცემს საგნის შინაარს. თვითშეფასების ანგარიშისა და ადმინისტრაციასთან/სტუდენტებთან ინტერვიუირების საშუალებით ირკვევა, რომ აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის მიმართებაში სტანდარტის შესაბამისია. ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების თანაფარდობა 7/19-ია. ანუ ერთ ხელმძღვანელზე საშუალოდ 3-მდე მაგისტრანტი მოდის. სალექციო ჯგუფში ირიცხება მაქსიმუმ 20 სტუდენტი, რაც იძლევა შესაძლებლობას ლექციის განმავლობაში ლექტორმა იმუშაოს თითოეულ სტუდენტთან. ეს ყოველივე კი მთლიანობაში დიდ შედეგს იძლევა. ხელმძღვანელებს აქვთ აქტიური ურთიერთობა მაგისტრანტებთან. შეხვედრების გარდა სარგებლობენ სატელეფონო კონსულტაციითა და ელექტორნული მიმოწერით. პერსონალი აქტიურად არის ჩართული სტუდენტის კონსულტირების პროცესში. ადმინისტრაციის და პერსონალის განმარტებით ყოველკვირეულად სპეციალური დრო არის გამოყოფილი ამისთვის, ხოლო სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა დამატებით ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ ლექტორებს და მიიღონ საჭირო ინფორმაცია. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში. გააჩნია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. დეტალურად ფლობს ინფორმაციას პროგრამის მიმდინარეობის შესახებ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხლმძღვანელი და უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ერთიდაიგივე პირია, რაც ხარისხის მართვის სამსახურის ფუნქციებიდან გამომდინარე არასწორია, რადგან ხარისხის მართვის სამსახური კონტროლს და მონიტორინგს უწევს, პროგრამას, ხელმძღვანელების საქმიანობას და შესაძლებელია ადგილი ქონდეს ინტერესთა კონფლიქტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის სკოლის 2018/2019 სასწავლო წლის ბიუჯეტი;
- მემორენდუმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;

- აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- პერსონალის ჩამონათვალი;
- გამოკითხვის შედეგები
-

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, ობიექტური და მიუკერძოებელი დასკვნის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, სასურველია, რომ ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი იმავდროულად არ იყოს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში - უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: დაწესებულების ადმინისტრაცია, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან რეგულარულად მართავს შეხვედრებს, ხდება სტუდენტებთან უშუალო კონტაქტის უზრუნველყოფა, მათი პერიოდული გამოკითხვა, ზეპირი თუ წერილობითი ფორმით; სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, შესაბამისი უკუკავშირის მიღება, მისი პროგრამაში გათვალისწინების მიზნით. ადმინისტრაციის თანამშრომელები უზრუნველყოფენ უშუალოდ კავშირს როგორც სტუდენტებთან ისე აკადემიურ და მოწვეულ ლექტორებთან, ამასთან მათ ყოველთვის ოპერატიულად მიეწოდებათ ნებისმიერი საჭირო ინფორმაცია ტექნიკურ და სასწავლო საკითხებთან დაკავშირებით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, ტრენინგებსა თუ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში. უსდ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება: ტარდება ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები თანამედროვე გამოცდილების გაზიარების მიზნით. გარდა ამისა უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებზე, ტრენინგებზე, საგრანტო პროექტებში მონაწილეობას. უსდ-ში აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელშესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები, ფინანსური თუ მატერიალური რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით;
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა/გეგმა/დებულება;
- სამართლის სამაისტრო პროგრამის ბიუჯეტი;
- მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო

პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ❖ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში - უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი

გარემოებები: სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამართულია, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და აპარატურით, აუდიტორიები იდეალურ მდგომარეობაშია და შექმნილია კომფორტული გარემო სწავლებისათავის. საბიბლიოთეკო რესურსი მრავალფეროვანია, სამართლის ბიბლიოთეკა გამოირჩევა მრავალფეროვანი ლიტერატურით, უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც ყველა სტუდენტს შეუზღუდავი წვდომა აქვს. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსები: EBSCO; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e-Duke Journals Scholarly Collection ;Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books; IMF eLibrary; Royal Society Journals Collection; SAGE Premier; IMechE Journals. აღნიშნულ სალიტერატურო ბაზებზე სრული წვდომა ეხმარება სტუდენტებს მაქსიმალურად აითვისონ, უცხოენოვანი უახლესი წყაროები და აქტიურად გამოიყენონ ისინი როგორც სწავლის პროცესის განმავლობაში, ისე სამაგისტრო ნაშრომების დამუშავებისას. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ აქვთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცის შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობა. მიმდინარეობს და აქტიურად იგეგმება საბიბლიოთკო ელექტრონული რესურსების გამოყენების შესახებ სტატისტიკის წარმოება, როგორც სტუდენტების ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი რომელიც ძალიან მოქნილია, ბიბლიოთეკაში წიგნად ფონდთან შემხებლობა სტუდენტებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომია. წიგნების განაწილებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის თანამშრომელი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას ასევე აქვს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სრულ რესურსზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გაცნობისა და გამოყენების შესაძლებლობით და გააჩნია ელექტრონული წიგნების ფონდი. ასევე აქვს, უახლესი მოდელის პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი აუდიტორიები და სამუშაო სივრცები. ასევე, კომფორტული, თანამედროვე ტიპის სასადილო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; ❖ სამართლის სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი; ❖ მემორენდუმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; ❖ აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ❖ უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება; ❖ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, შპს "ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი"-ს (შემდგომში - უსდ) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: უსდ-მიერ მოწოდებული ბიუჯეტი დეტალურად განსაზღვრავს

უნივერსიტეტის პრიორიტეტებს, ბიუჯეტით დგინდება, რომ პრიორიტეტი ენიჭება კვლევით კომპონენტს, ასევე გათვალისწინებულია სტუდენტური აქტივობებისთვის თანხები. ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. შესრულებული ბიუჯეტის დადასტურება ხდება ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგად. ბიუჯეტში გაწერილია დაფინანსების წყაროები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; ○ სამართლის სკოლის 2018/2019 სასწავლო წლის ბიუჯეტი; ○ მემორენდუმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	საბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და მის გასაუმჯობესებლად. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური რეგულარულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს. ამ მიზნის ხდება სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მიერ შეფასების ფორმების შევსება. ხარისხის სამსახური აღნიშნულ შეფასებებს იყენებს პროგრამის განსავითარებლად.

გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ დამსაქმებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის სრულყოფის პროცესში, მათთან კონსულტაციის შედეგად ხდება პროგრამაში ცვლილებების განხორციელება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია, რადგან პროგრამა ყოველთვის ასახავს ბაზრის მოთხოვნებს და ორიენტირებულია ბაზარზე მოთხოვნადი კადრების მომზადებაზე. ხარისხის სამსახურმა ინტერვიუირების დროს აღნიშნა, რომ მაგალითისთვის, საგანი: ,,ევროპული კავშირის ასოცირების ხელშეკრულების შინაარსი და გავლენა ქართულ კანონმდებლობაზე“ დამსაქმებელთა რჩევითა და კონსულტაციით ჩამოყალიბდა წარმოდგენილი ფორმით. სტუდენტების მიერ ხდება არა მარტო სასწავლო კურსის სილაბუსებისა და პროფესორ–მასწავლებელთა შეფასება, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის, გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირების მიზნით, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ერთად სისტემატურად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამას და ახდენს მის მონიტორინგს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის სამსახური აკონტროლებს და ამოწმებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული ლექციებისა და სემინარების ხარისხს. რაც მნიშვნელოვანი გარემოებაა პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისთვის. ასევე მოწმდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევები. თვითშეფასების ანგარიშზე აღნიშნულია, რომ ,,უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური რეგულარულად გეგმავს და ახორციელებს პროგრამის ხარისხის შეფასებას, ატარებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს, აანალიზებს მასალებს და წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელებს რეკომენდაციებს პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით“. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტროპროგრამის ხელმძღვანელი და ხარისხის სამსახურის უფროსიერთი და იგივე ადამიანია, ამიტომრთული იქნება ერთი ადამიანის მიერ გადადგმული ნაბიჯების შეფასება მოახდინოს იმავე ადამიანმა და კრიტიკული თვალით გაანალიზოს კონკრეტული მოცემულობა, რაც საბოლოო ჯამში შეიძლება აისახო პროგრამაზე და მისი სრულყოფის პროცესზე. აუცილებელია ზემოთხსენებულ პოზიციებზე საქმიანობას სხვადასხვა ადამიანი ახორჩიელებდეს, რათა ხარისხის კონტროლი იყოს რეალური.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ სამართლის სამაგისტრო პროგრამა. ○ გამოკითხვის შედეგები. ○ ინტერვიუირება.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცედურებს. სამაგისტრო პროგრამა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის ახალი ვადით მოსაპოვებლად გადის აკრედიტაციის პროცედურას. ამ მიზნით ის ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას, ასევე უნივერსიტეტი ორიენტირებულია კანონმდებლობის შესაბამისად სტანდარტების ცვლილებების მიხედვით სწრაფად მოახდინოს რეაგირება და მოიყვანოს პროგრამა სრულ შესაბამისობაში.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი პროგრამის შეფასებას ახორციელებს მოწვეული ექსპერტების მიერ და ცდილობს მაქსიმალურად ასახოს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და რეკომენდაციები პროგრამაში. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციასთან (სიფა),

რომელიც ამ მომენტისთვის ამზადებს პროგრამის სრულ ანალიზს. რაც უმნიშვნელოვანესია პროგრამის სრულყოფისათვის. ეს გარემოება არის მნიშვნელოვანი გარანტია იმისა, რომ პროგრამა სწორი მიმართულებით ვითარდება და აქვს შესაძლებლობა უპასუხოს გამოწვევებს. უსდ-ს სამართლის სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გასაუმჯობესებელი/სუსტი მხარეები არ არის გამოკვეთილი. თვითშეფასების ანგარიშის ძირითადი ფუნქცია კი არის სწორედ გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა და მასზე მსჯელობა/დისკუსია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ο თვითშეფასების ანგარიში ο გარე ხარისხის შეფასების შედეგები ο გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები. ο ინტერვიუირება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელია თვითშეფასების ანგარიშის შედგენის დროს იკვეთებოდეს პროგრამის სუსტი მხარეები, რომელიც გახდება მსჯელობის და დისკუსიის საგანი სამომავლოდ, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით (თვითშეფასების დოკუმენტის ძირითადი ფუნქციაც ეს არის) .
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს იურიდიული ფირმების ასოციაციასთან (სიფა), რომლის მიხედვით ხდება სამაგისტრო პროგრამის სრული ანალიზი და შეფასება, ეს გარემობა მიუთითებს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის ხარისხზე და ორიენტირებულია მიუკერძოებელი და ობიექტური დასკვნის საფუძველზე მოახდინოს პროგრამის მოდიფიცირება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- [x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- [ ] არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შესწავლილიდოკუმენტაციისა და გასაუბრებების შედეგად დგინდება, უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგების გამოყენება შემდგომში ხდება სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლის ჩართულობით, უნივერსიტეტში ხორციელდება ჩამოთვლილ დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი, პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტები თავიანთ პოზიციას აფიქსირებენ კითხვარების შევსების ფორმით, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ პირებს წარუდგენს რეკომენდაციებს.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგი ხდება წელიწადში ორჯერ. ხარისხის სამსახურს შემუშავებული აქვს კითხვარის ფორმა სტუდენტებისთვის, რომლის მიხედვითაც ხდება სტუდენტების გამოკითხვა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების გამოკითხვა ხდება გამოცდების შედეგების გაცნობის შემდეგ, რაც შეიძლება არ იყოს საუკეთესო გამოსავალი და უმჯობესი იქნება გამოკითხვა ჩატარდეს გამოცდების დაწყებამდე, რათა სტუდენტს შეფასების დროს არ ქონდეს ქულიდან გამომდინარე მიკერძოებული მოსაზრებანი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მონიტორინგი მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას პროგრამის განხორციელების პროცესის შეფასებასთან ერთად.

უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტს აქვს ხშირი კომუნიკაცია კურსდამთავრებულებთან, მათგან მიღებული რეკომენდაციები და წინადადებები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის სრულყოფას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუირება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სტუდენტების მიერ ლექტორთა შეფასების სისტემა - სასურველია, სტუდენტების გამოკითხვა განხორციელდეს ფინულურ გამოცდებამდე, რათა მათ მიერ ჩამოყალიბებული შენიშვნები იყოს სამართლიანი და ობიექტური. მნიშვნელოვანია ერთიანად მოხდეს ინფორმაციის შეგროვება, რათა მიღებული უკუკავშირი იძლეოდეს სრულ ინფორმაციას. სასურველია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა ნათლად სტრუქტურირებული და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებით იყოს განხორციელებული - წერილობითი ფორმით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	მისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
ლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
დენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
ლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ვახტანგ ჟვანიას ხელმოწერა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი
თათია უბერი

მაკა კარტოზია



დავით ელისაბედაშვილი